უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №60

2018წ. "01" 09

ქ.თბილისი

შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის (საიდენტიფიკაციო კოდი: 245539403) მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 სექტემბრის №11 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის შესახებ ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

3.უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი

დანართი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია *(1)*	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში 111054	95	110	ქართული	200	ქ. ბათუმი, ანგისის დასახლება შ. ხიმშიაშვილის ქ. №47-ის მიმდებარე ტერიტორია.
2	გემის სამანქანე განყოფილ ების ექსპლუატაცია *(1)*	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში 111055	91	106	ქართული	200	ქ. ბათუმი, ანგისის დასახლება შ. ხიმშიაშვილის ქ. №47-ის მიმდებარე ტერიტორია.

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.